#401 2013 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

„ევროპის კავშირსა და საქართველოს შორის ჩარჩო ხელშეკრულების თაობაზე ევროპის კავშირის პროგრამებში საქართველოს მონაწილეობის ძირითადი პრინციპების შესახებ“ ერთის მხრივ, ევროპის გაერთიანებებსა და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ოქმის დამტკიცებისა და ძალაში შესვლის თაობაზე

მუხლი 1

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, ძალაში შესვლის მიზნით, დამტკიცდეს 2013 წლის 12 დეკემბერს ხელმოწერილი „ევროპის კავშირსა და საქართველოს შორის ჩარჩო ხელშეკრულების თაობაზე ევროპის კავშირის პროგრამებში საქართველოს მონაწილეობის ძირითადი პრინციპების შესახებ“ ერთის მხრივ, ევროპის გაერთიანებებსა და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ოქმი.

მუხლი 2

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ:

ა) აცნობოს საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების დადების შესახებ;

ბ) შეატყობინოს ევროპის კავშირს ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურის საქართველოს მხრიდან დასრულების თაობაზე.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**